



# ბო რ ჯ ო შ ი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი \* გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

10 აპრილი

საქართველო

2025 წელი

№15(9381)

ფასი 40 თეთრი

## საკანონმდებლო ორგანოების მუშაობა



**საკანონმდებლო ორგანოების მუშაობის შესახებ. პარლამენტ-მინისტრის, ირაკლი კობახიძის, მუშაობის ადმინისტრაციის განმარტებული პრინციპები.**

პრემიერის თქმით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამდებობაზე პარლამენტის ანრი ოხანაშვილის კანდიდატურა წარედგინება, იუსტიციის მინისტრის თანამდებობას კი, პაპაშვილი დაიკავებს.

„წარმატებებს ვუსურვებ ანრი ოხანაშვილსა და პაპაშვილს ახალ თანამდებობებზე“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

**ფინანსთა მინისტრის ლაშა ხუციშვილის** წარდგინებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის 2025 წლის 2 აპრილის ბრძანებით, ფინანსთა მინისტროს საგამომცემო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე **ირაკლი გუგუშვილი** დანიშნა, ინფორმაციას ფინანსთა მინისტრო ავრცელებს.

ამ დრომდე ირაკლი ბერაიას იუსტიციის მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა. ირაკლი ბერაია დაინაშნა 1976 წლის 23 ივლისს. 1998 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 2016-2025 წლებში იყო საქართველოს მე-9, მე-10 და მე-11 მოწვევის პარლამენტის წევრი. პოლიტიკურ საქმიანობამდე მას წარმატებული კარიერა ჰქონდა საბანკო სექტორში.

ირაკლი ბერაიამ ფინანსთა მინისტროს საგამომცემო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე სოსო რამიშვილი შეცვალა.



ათენის კულტურის ცენტრი „კავკასია“-ს მხარდაჭერით, ბორჯომის მუნიციპალიტეტის დელეგაციასა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა.

საბერძნეთში ვიზიტით მყოფ ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს დავით ზაალიშვილს, ასევე „ჩვენი ბორჯომისთვის“ თავმჯდომარეს ქეთი ნოზაძეს, დეკანოზ იოანე (ხეცურიანს) და დელეგაციის წევრებს საბერძნეთში საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ლევან ბერიძემ** საელჩოს წარმომადგენლებთან ერთად უმასპინძლა.

ვიზიტი სასწავლო-შემოქმედებითი შინაარსის იყო და საბერძნეთის ღირსშესანიშნაობების, კულტურისა და განათლების სისტემის ახლოდან გაცნობას ისახავდა მიზნად. ელჩმა მოსწავლეებს საელჩოს ფუნქცია-მოვალეობები გააცნო და საკუთარი გამოცდილება გაუზიარა. ასევე, მათ საზღვარგარეთ უმაღლესი განათლების მიღების პერსპექტივებზე ესაუბრა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კი ბორჯომის დიდ პოტენციალზე და წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა. ბოლო, ასევე „ჩვენი ბორჯომისთვის“ თავმჯდომარემ, ქეთი ნოზაძემ, საქართველოს ელჩს ცენტრის პედაგოგები და წარმატებული მოსწავლეები წარუდგინა, ამასთანავე, ცენტრის მრავალფუნქციური საქმიანობისა და მოსწავლეთა მიერ გამართული ფესტივალებისა და შეჯიბრებების შესახებ ესაუბრა.

## სოციალური დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტში მოქმედი სოციალური პროგრამების ფარგლებში, მარტში, 1 419 ბენეფიციარს 435 715 ლარის დახმარება გაენია.

**მათ შორის:**

285 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის 243 231 ლარი გამოიყო; 166 ბენეფიციარი მედიკამენტების შესაძენად 32 381 ლარით დაფინანსდა; ონკოლოგიური დაავადებების მქონე 35 პაციენტი 30 153 ლარით დაფინანსდა; 114 მრავალშვილიანი ოჯახი 27 650 ლარით დაფინანსდა; 369 ოჯახი კომუნალური გადასახადებისათვის 14 600 ლარით დაფინანსდა; ცელაქიის დიაგნოზის მქონე 2 ბენეფიციარს 150-150 ლარი ჩაერიცხათ. ასევე, სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტში 25-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება, რომელთა მთავარი მიზანი ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური და სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობა და გაუმჯობესებაა

## მომსახურება უფასო იქნება

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ახალი NEW HOLLAND თანამედროვე ტიპის ტრაქტორი, მუნიციპალიტეტის 33 სოფლის მოსახლეობას, სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების სახნავ-სათესად, უფასოდ მოემსახურება

პროგრამის მიზანია სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ხელშეწყობა.

## დამოუქიდავლოვან შენიჭული სისოცხლე!

1989 წლის 9 აპრილი რუსეთ-საქართველოს 200-წლიანი ომის ნაწილია. საქართველოს დედაქალაქში დამოუკიდებლობის მოთხოვნით რუსთაველის გამზირზე ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა.

მშვიდობიანი აქცია, საბჭოთა კავშირის სადამსჯელო ნაწილებმა სასტიკად დაარბიეს. თავისუფლების მოთხოვნით შეკრებილებს, დილის 4 საათზე, კრემლის მითითებით საბჭოთა არმიის მიმღე ტექნიკა, შემდეგ კი შინაგანი ჯარის სპეცრაზმელები დაესხნენ თავს. საბჭოთა ჯარისკაცებმა მშვიდობიან მომიტინგეებს გზა ტანკებით ჩაუხურგეს, დემონსტრაციებს ნიჩბებით და მხუთავი აირით გაუსწორდნენ. კრემლის მითითებით მიტინგის დარბევა მოხდა იმავე ღამეს, სადაც ეროვნული მოძრაობის ლიდერთა ერთ ნაწილთან ერთად, მშვიდობიანი მოქალაქეებიც იყვნენ შეკრებილები.

9 აპრილის აქციის დარბევის შედეგად 21 ადამიანი დაიღუპა. აქედან - 17 ქალი და 4 მამაკაცი. გარდაცვალებულს შორის იყვნენ არასრულწლოვნებიც. 4 ათასზე მეტი დემონსტრანტი სხვადასხვა სახის ტრავმით საავადმყოფოში მოათავსეს. დაუდგენელი ქიმიური ნივთიერებით მოინამლა 2000-მდე მოქალაქე... „სტკიოდათ, თუმცა ჯერ არ იცოდნენ, რომ თავისუფლება გვაჩუქეს!“

1989 წლის 9 აპრილიდან ზუსტად მეორე წლის თავზე, 1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას მეთაურობით საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. ამრიგად, 9 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში ჩაიწერა ტრაგედიის და ამავედროულად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ! საქართველოს დამოუკიდებლობისთვის და თავისუფლებისთვის ბრძოლის უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრელი ეტაპი გახდა!

9 აპრილი არის ერთგულების, ვაჟკაცობის სიმბოლო. ეს არის ცრემლიანი სიხარულის დღე - მტერი ეცადა, მაგრამ ვერ აჩეხა ქართული გმირული სული! თავისუფლების, მეგობრობის, სამშობლოს სიყვარულისა და მომავლის იმედის საწყისი.

ჩვენ, მომავალმა თაობამ საქართველოს

ისტორიის ახალი ფურცელი უნდა გადავშალოთ და აუცილებლად უნდა გვახსოვდეს წარსული, პატივი მივავით გმირებს... არასოდეს არ მიეცემა დავიწყებას მათი სახელები! ისინი ყოველთვის გაგვინათებენ გზას მომავლისაკენ...!

...სულ რაღაც 13 წლისა ვიყავი, 1989 წლის 9 აპრილს, დილით სკოლაში რომ მივედიოდი და ცხადში, რეალურად მაშინ დავინახე ტანკები, ახალციხიდან თბილისისაკენ რომ მიემართებოდნენ... ისე მძაფრად მახსოვს ბავშვური თვალთახედვით ტანკებს ბოლო რომ არ უჩანდა... ახლაც მცრის და განვიცდი... ვერ აღვწერ რამდენხანრი ემოცია იყო მაშინ ჩემში... -გაკვირვების... შიშის... ვერგაგების (რახდება)... უმწეობის... მერე თანდათან შემოვიდა ცნობიერებაში იმ ღამის ვერაგობა, 21 ანგელოზის სამარადი-

სო სასუფეველში გადასახლება და... ყველა ნემსი ერთად მჩხვლეტდა... თანდათანობით გამძაფრდა ეს ტკივილი დროში, ვეებერთელა სევდის ღრმული გახდა და ლოდნად იქცა გულში... მას მერე მარილიანი ცრემლები სდის ამ ლოდს...

„აპრილი მოსულა... და თვეა მატყუარა, ნათი, არ გჯეროდეს აპრილის... არც ის იფიქრო, რომ ვინმეს მიაღწიდა, სისხლი სამშობლოსთვის დაღვრილი!“

**თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაღუპული გმირები:** აზა ადამია - 22 წლის; ნათია ბაშალაშვილი - 16 წლის; თამუნა დოლიძე - 28 წლის; ეკა ბუფანიშვილი - 15 წლის; ნატო გიორგაძე - 23 წლის; თამარ ჭოგელიძე - 16 წლის; თინა ენუქიძე - 70 წლის; ნინო თოიძე - 22 წლის; ზაირა კიკვიძე - 61 წლის; მანანა ლოლაძე - 34 წლის; თამარ მაშულაშვილი - 50 წლის; მამუკა ნოზაძე - 21 წლის; ნანა სამარგულიანი - 41 წლის; მალვა ქვასროლიაშვილი - 35 წლის; მარინა ჭყონია-სამარგულიანი - 31 წლის; ელისო ჭიპაშვილი - 25 წლის; ნოდარ ჯანგრაშვილი - 40 წლის; მზია ჯინჭარაძე - 43 წლის; მანანა მელქაძე - 26 წლის; გია ქარსელაძე - 25 წლის; ვენერა მეტრეველი - 45 წლის;

„სამშობლოს მცველნი, სადა ხართ, ერთხელ ვერ განახეთ თვალთა“.

ნანა კაპიშვილი

## 14 აპრილი "დედაჩის" დღესასწაულია

საქართველოს სახელმწიფო ენის სტატუსი ქართულ ენას მიენიჭა ჯერ კიდევ ელიზბეტის ეპოქაში, ძვ. წელთაღრიცხვის 284 წელს, როდესაც ეროვნული მატანის „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, პირველი სრულად ქართული სახელმწიფო მეფეთ-მეფე ფარნავაზმა „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა“. ეს თარიღი, როგორც უმნიშვნელოვანესი ისტორიული ნიშანს ეკუთვნის, დაედო საფუძვლად ქართულ ეროვნულ წელთაღრიცხვას.

ქართულ ენას სახელმწიფო სტატუსი მიენიჭებული ჰქონდა და დღესაც აქვს მინიჭებული საქართველოს აბსოლუტურად ყველა კონსტიტუციაში (1921წ. 21 თებერვალი) 1922წ. 25 თებერვალი, 1926 წლის 5 ივლისი, 1937 წლის 13 მარტი, 1978წ. 15 აპრილი, 1995წ. 24 აგვისტო.

ქართული ენა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური ენაა. ქართული ენა ცოცხალ ენათა შორის ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში.

ქართველი მემატიანეები ქართული დამწერლობის შემქმნელად ასახელებენ სრულიად ქართული სახელმწიფოს წარმართ მეფე ფარნავაზს.

„ფარნავაზ იყო მეფე ქართლსა შინა, ქართლოსისა ნათესავთაგანი, ამან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხვა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მნივნებრივი ქართული - ლაონში ბრძოლა“.

ბიბლიური ნოეს ძეთა იაფეტის, სამისა და სემის შთამომავალი - ეს 15 მნიშვნელოვანი ხალხი ასეა განაწილებული ძმთა შორის. ია-


ფეტები: იბერები (ქართველები), ლათინები (რომაელები), ესპანელები, ბერძნები, მილიელები, სომხები;

რაც შეეხება საკუთარ ქართულ ანბანურ დამწერლობას, მის შესახებ ცნობილი გერმანელი მეცნიერი ს. კრაუსი ჯერ კიდევ 1899 წელს წერდა „დიარიზმების ანბანურ დამწერლობათა კატალოგებში იბერიული დამწერლობა არსად არ აკლავ და საყურადღებოა ისიც, რომ ბიბლიურ 70 თუ 72 რესპუბლიკურ ენათა 15 დამწერლობათა შორის იბერიული ყოველთვის პირველ ადგილს იკავებს“.

პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნი 1629 წელს რომშია გამოცემული „ქართული ანბანი ლოცვებითურთ“ და „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანე პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირზახის, წმინდა ბაილის (წესის) ბერის დახმარებით - სახმარად, სარწმუნოების გამავრცელებელი სასულიერო საზოგადოების მისიონერთა (3084 სიტყვა), ორივე წიგნი დაბეჭდილია „პროპაგანდა ფილეს“ კონგრეგაციის სტამბაში.

„დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლის მისიისა საწამებლად, რამეთუ ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა. უპრეცედენტობით გამოირჩევა ქართული ენის განსაკუთრებული რელიგიური მისიისადმი მიძღვნილი საგალობელი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილი X საუკუნეში და რომელიც გათვალისწინებულია ქართველი დამოკიდებულება თავიანთი ეროვნული ენისადმი, ეს საგალობელი ცნობილია სახელწოდებით „ქება და დიდება ქართულისა ენისა“.

მალაქია ლომიძე





აპოქის გამოწვევა

## ლია გულიაშვილის მოწოდება

თაობათა ცვლა ყველა დროის ურთულესი პროცესია, ეს არის ის მდგომარეობა, როცა „მამები“-მშობლები, ვერ ეგუებიან ახალს, „მეჩვეული ჭირი ურჩევნიას“ პრინციპიდან გამომდინარე, ხოლო „შვილებს“ კი, არ სურთ მიიღონ ძველი „შეგონებები“. ისინი სიახლეებს უღებენ ალლოს. აქედან გამომდინარე, დიდი სიფრთხილეა საჭირო, როცა საქმე მოზარდს ეხება. იუნგის აზრით: „ყოველ ადამიანში ჩადებულია უფრო მეტი, ვიდრე მან იცის“, ე.ი. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ ჩამოვყალიბებთ მოზარდებს კრიტიკის, ფანტაზიისა და ფოკუსირების ფაზებს!

გასათვალისწინებელია, რას ითხოვს თავად ეპოქა ჩვენგან, ძველი და ახალი თაობისაგან, როდესაც სკოლის ცხოვრება ვერ პასუხობს დროის მოთხოვნებს, აი, მაშინ იწყება თაობათა შორის გაუცხოება, რაც ხდება დაპირისპირების საბაბი. ამ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, რას, როგორ, რატომ და რისთვის ვასწავლით. მოგვხსენებათ, სწავლა-სწავლების პროცესი ურთულესია, როგორი ალზრდის მეთოდებსაც განვახორციელებთ, ისეთ თაობასაც მივიღებთ: „ცემა გმართებს გამზრდელისა, რა ყრმა ნახო ცუდად ზრდელიო“, - შეიძლება ვიმძიმე გამოწვევის ოპონირება და მითხრას: „მაგრამ მართო წერთა რას იზამს...“ დიანახ, რომ „იზამს“ წერთა ამ შემთხვევაში.

გავისწავლოთ იგავი მთესველის შესახებ, სად აღმოცენდა მყარად და ჯანსაღად თესვა? - პასუხია - ნოყიერ ნიადაგში. სწორედ ჩვენი სახელმწიფოებრივი ხედვა და საგანმანათლებლო რეფორმები უნდა იქცნენ ისეთ ნიადაგად, საიდანაც საღად მოზროვნე, ქვეყნისა და ერის სასიქადელო მამულიძეები აღიზრდებიან!

ოთხი ათეული წელია ვასწავლი და შემიძლია, ვთქვა, რომ მიდგომები სწავლა-სწავლების პროცესში შეიცვალა დროის მოთხოვნებიდან გამომდინარე, შესაბამისად, შეიცვალა მოსწავლეთა ფსიქოლოგია, რომ იტყვიან, „ბენვის ხიდზე გვიხდება გავლა“, ვინაიდან გასათვალისწინებელია, ჩვენი ერის გენეტიკური ფსიქოლოგია, ამ უნიკალურსა და უძველესს ერს ძლიერ მხარესთან ერთად სუსტი მხარეც გააჩნია და სწორედ ეს სუსტი მხარეა გასათვალისწინებელი.

მისასალმებელია განათლების

რეფორმის ფარგლებში განხორციელებული შედეგოვითა დადამზადება, რათა მასწავლებლები შესაბამისი ცოდნით აღჭურვილები იყვნენ, თუმცა აქაც იჩინა თავი სირთულეებმა. მოკლედ, ეს ისეთი საპასუხისმგებლო და პრობლემური საკითხია, ამ ერთი საგანგებო სტატიით ვერც ამოიწურება და ვერც გადაწყდება.

თაობათა ცვლა და მათი ხედვა დამოკიდებულია სახელმწიფოებრივ მიდგომებთან, გარე და შიდა ფაქტორებთან. ის ცვლილებები, რაც განათლების სისტემაში ხორციელდებოდა, მსოფლიო მოთხოვნებიდან გამომდინარე, დროს ფაზებს!



დადრო იცვლებოდა. ვცდილობდით, ფეხი აგვეწყო და სიახლეები მოსწავლეებამდე მიგვეტანა, რათა ისინი ყოფილიყვნენ მობილიზებული დროის მოთხოვნათა შესაბამისად. თუ მცირე შედარებას გავაკეთებთ, დავინახავთ, რომ წინა თაობის ცოდნა უფრო ფუნდამენტური იყო, დღეს მტკადა ინფორმირებული არიან, აქვთ გლობალური მიდგომები და შეხედულებები.

მიზეზი უნდა ვეძებოთ არა მოსწავლე-ახალგაზრდობაში, არამედ იმ იდეოლოგიაში, რომელსაც გვთავაზობენ: მყურნოლობა სასარგებლო და შედეგიანი რომ იყოს, ექიმმა პაციენტს სწორი დიაგნოზი უნდა დაუსვას, ამასვე ვფიქრობ განათლების რეფორმასთან დაკავშირებით, უნდა შეისწავლოთ ერის ფსიქოლოგია, ყურადღება მიაქციო ტრადიციებსა და შემდეგ განავრცოცელო ცვლილებები. ე.წ. „ქოფი-ფეხისი“ რეფორმის გადმოტანა განათლებაში ეროვნულობისა და

ტრადიციების გარეშე, შედეგზე ვერ გავიყვანს. ამდენად, ყურადღება უნდა მიექცეს რას ვასწავლით? როგორ ვასწავლით? რატომ ვასწავლით და რისთვის ვასწავლით?!

არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ ეპოქის გამოწვევა - ახალი ტექნოლოგიების დახერგვა, სწავლებაში აუცილებლობით არის გამოწვეული, რათა არ ჩამოვრჩეთ მსოფლიო მოთხოვნებს. ზომიერების დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა ვაქციოთ. კომპიუტერების, გაფუტებისა თუ სხვა მონაცემობებიზე დამოკიდებულებამ შექმნა ახალი პრობლემები: გონებაგაფანტულობა, ნიგნის ჩანაცვლება, მზა ინფორმაცია, კლავიატურაზე დამოკიდებულება და ა.შ. აღნიშნული, მოსწავლეებში იწვევს კომუნიკაციის სიმძირეს, ურთიერთობის სხვა ფაზაში გადასვლას.

წმ. ილია მართალი ყოველთვის სიახლეებისა და თავისი ქვეყნის განვითარების მომხრე იყო: „ეს სმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულშიცო“, მაგრამ ამავე დროს მიანიშნებდა, რომ გათვალისწინებული ყოფილიყო ერის ბუნება, ხასიათი, ემოციები და ისე განხორციელებულიყო რეფორმა.

იგივე ხედვა ჰქონდა ვაჟას. მისი თქმით, სიახლეები, ძიება კარგია, მაგრამ ეს არ უნდა მომხდარიყო ეროვნულობის დაკნინების ხარჯზე.

პროექტებსა და სასწავლო პროგრამებს უწოდო „წმიდა ილია მართალი“ და საკითხები მის საპირისპიროს ქადაგებდნენ, ასე, რა თქმა უნდა, შედეგზე ვერ გავალთ.

ჩვენ უდიდესი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ერი ვართ, ეს არ უნდა დავივიწყოთ, უფროსების პატივისცემა, სიყვარული, თანადგომა, ემპათიურობა, ტოლერანტობა, პატრიოტიზმი, ჩვენი ერის განუყოფელი ნაწილია, ამის ნათელი მაგალითია, ის მრავალეროვნულობა და მრავალსაზრისურობა, რაც ჩვენს ქვეყანაში სუფევს, ამიტომ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი ვერ შეგუდება უპატივცემულობას, უზნეობასა და ამორალურობას, ამ ყოველივეს ეპოქა არ ქმნის, ეს დიდი ხანია შექმნეს, დაამკვიდრეს და თაობიდან თაობას გადასცეს ჩვენმა წინაპრებმა და ასე გაგრძელდება უკუნიით უკუნიამდე, ამის!

„ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამას!“ - აი, ჩვენი თაობის სლოგანიც - „გაცუარდეთ, კაცნო, ერთმანეთი“ - ეს გავანილი კი მსოფლიოს ჩვენგან, „ვაჟას“ ქვეყნიდან!

მამაზადა იზა იანვარაშვილა

## აუზიზი ჩავი პირველის ნაწილი

2 აპრილს ბორჯომის N1 საჯარო სკოლაში აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მრავალფეროვანი ღონისძიებები გაიმართა, რამაც სხვადასხვა ფორმატით ჩართულები იყვნენ მოსწავლეები, თავად აუტისტური სპექტრის მქონე მოსწავლეები, მათი მშობლები, პერსონალური ასისტენტები და პედაგოგები.

ეს დღე 2007 წლიდან აღინიშნება გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ და მისი მიზანია გაზარდოს აუტიზმის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონე და ხელი შეუწყოს აუტიზმის მქონე ადამიანების ფუნდამენტური უფლებების დაცვას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას, რეალიზაციას და საზოგადოებაში ინტეგრაციას.

აუტიზმი არის ნეირობიოლოგიური მდგომარეობა, რაც ხასიათდება სოციალური ურთიერთობის, კომუნიკაციისა და ქვეყნის სირთულეებით. მის მართვას განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება, თუმცა უპირველესი ადამიანური დამოკიდებულებაა, რაც ამ სპექტრის წარმატებულად მართვის საფუძველია.

სწორედ ამიტომ პირველი სკოლის სპეცმასწავლებლებმა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მოამზადეს და სასკოლო საზოგადოებას წარუდგინეს მრავლისმომცველი პრეზენტაციები.

ნათია სოლოღაშვილმა, დამსწრე დეტალურად მიანოდა აუტიზმის სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, განიხილა გამომწვევები ფაქტები და კონკრეტული მაგალითები, ისაუბრა იმზეც, თუ რა სახის თერაპიული ინტერვენციები უნდა იქნას ჩატარებული აუტიზმის სპექტრის შემთხვევაში და რა სერვისებს გვთავაზობს ამ მხრივ სახელმწიფო.

მოსწავლეებმა უყურეს ფილმს - „აუტისტი სავაჭრო ცენტრში“. ფილმის ჩვენების შემდეგ მოსწავლეებისთვის კიდევ უფრო თვალნათელი გახდა აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების განცდები. ამ პასუხისმგებელი კარგად ჩანს მათი რეაქციები სამყაროს ხმაურზე.

საინტერესო და ემოციური აღმოჩნდა პრეზენტაციის მეორე ნაწილიც, რომელიც ეხებოდა საზოგადოებაში დამკვიდრებულ



სტერეოტიპებს, სტიგმის აღმოფხვრას და ურთიერთობების, დამოკიდებულებების ფორმებს.

თანაგრძნობის გამომწვევი არ იყო აუტისტი მოსწავლის ნერიოცი, რაც იმ დღის გზავნილად იქცა.

„ეი ანა ვარ, 9 წლის, აუტიზმი ჩემი პიროვნების ნაწილია... შემეყვარე და დამეხმარე“... იკითხებოდა წერილში.

ღონისძიებაზე დამსწრე მოსწავლეებში უდიდესი მიმღებლობის და მხარდაჭერის სურვილი იგრძნობოდა აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვების მიმართ. დღევანდელი ღონისძიების მიზანია სწორედ ეს იყო, ინფორმირებული და ემპათიის გამომწვევა სასკოლო საზოგადოებაში, რაც აშკარად გამოგვივიდა... იგივე უნდა გვადოთ ხვალ, ზევ და ყოველთვის.

ჩვენ უნდა შევქმნათ მათთვის, რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობები, მეტათავაზოთ მეტი კომუნიკაცია, მეტი ინტერვენცია- გვითხრა სპეცმასწავლებელმა, ნათია ორთოიძემ. აღსანიშნავია, რომ სკოლაში ხორციელდება პროექტი: „ჩვენ ვქმნით რესურსს ჩვენი თანატოლებისათვის“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ქმნიან ადაპტირებულ ტექსტებს სსსმ მომსწავლეებისთვის. ამჯერად დამზადდა იაკობ გოგებაშვილის „მეფე ერეკლე და ინგოლო ქალის“ შემცირებული ვერსია ილუსტრაციებით, რასაც კონსულტაცია გაუწია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, ილია გოგორაძემ და ხელოვნების მასწავლებელმა, ნათელა ლლონტამ. აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღეს გამოეხმაურნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და ხელოვნების გაკვეთილებზე შექმნეს თემატური ნამუშევრები.

ნათია ორთოიძე

## რა გაუკეთა სტალინმა საქართველოს?!

ბევრს აინტერესებს, ნუთუ ამ სტალინს არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის და განვლით ფაქტებს, რომლის ნახვაც ნებისმიერს შეუძლია არქივში.

მცირე მიონოლოგი მათთვის, ვისაც სტალინის ხსენებაზე, 1937 წლისა და ტაო-კლარჯეთის გარდა არაფერი ანსენდებთ (ტაო-კლარჯეთი ბრიტანეთის დანებარებით დარჩა თურქეთის შემადგენლობაში).

1917 წელს აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა. ასე გაგრძელდა 1943-მდე. 1943 წელს კი, სწორედ სტალინის ბრძანებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს.

საფრანგეთში მენშევიკების მიერ გატანილი ქართული სა-გახიჭური მანამდე არ დაუბრუნეს საქართველოს, სანამ ხმა სტალინამდე არ მივიდა. ქართული განძი, (რაც მისგან დარჩა) სამშობლოს, 1945 წლის 11 აპრილს, სტალინის ძალისხმევით დაუბრუნდა.

1933-1934 წლებში სრულიად საბჭოთა კავშირში აბორტი და ჰომოსექსუალიზმი კანონით აიკრძალა. დღევანდელი გადმოსახედიდან იმედია ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს.

სტალინის ბრძანებით გადაიღეს ეროვნული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი შედევრი „გიორგი სააკაძე“, გადაღების დამთავრებისთანავე (1943 წ.) ფილმის ასლები სტალინმა თეირანის კონფერენციაზე პირადად დაუბრუნა შეხვედრის მონაწილეებს. ფილმზე 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა, 2 წელიწადში 40 მილიონმა ადამიანმა ნახა.

სტალინის ბრძანებით ააშენეს რუსთავი, რომელიც 1948 წლიდან უკვე ქალაქად იხსენიება.

სტალინის მმართველობის პე-

რიოდში, ქიათურაში იყო გაყვანილი (სტალინის ბარელიეფები საბაგიროებზე დღესაცაა შემორჩენილი).

სტალინის ბრძანებით აიგო და გაკეთდა - ბოძიანის ზღვა (1947წ), რიონის (1927), ზაპსი (1927), ანჰესი, რომელიც აჭარაში მდებარეობს (1941 წელი), სამგორის სარწყავი სისტემა (1947-51 წწ).

მუშტაილის ბაღში საბავშვო რკინიგზა 1935 წელს, სტალინის ბრძანებით აიგო.

სტალინის ბრძანებით ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე „გეფხისტყაოსანი“, როდესაც ბელადს მალევა ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნი პოემა არ მოეწონა, თვითონ შეიტანა კორექტივები, კერძოდ, 1402-ე სტროფი სტალინმა გადათარგმნა.

როდესაც ფაშისტური ორგანიზაციის ერთ-ერთმა მონაწილემ აღიარა და დაედასტურა გამოძიების ხელთ არსებული ყველა მასალა, ივანე ჯავახიშვილის ფაშისტური საქმიანობის შესახებ, დიდი ქართველი მეცნიერი შემთხვევით გადაურჩა სიკვდილით დასაჯას - ჯავახიშვილის ამბავი იოსებ სტალინს აცნობეს და ბელადმა კრემლიდან თითი დაიქნა - ქართველებს მაგის ტოლი მეცნიერი სხვა ვინ გყავთო?!

ასე გადაურჩა ცნობილი ისტორიკოსი დალუჟას. როდესაც პენტაგონმა, ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დავალებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ცივი ომის პირობებში შეიმუშავა საბჭოეთის 20 ქალაქზე ატომური ბოვადსხმის სტრატეგიული გეგმა, სამიზნეში ამოღებული ქალაქებიდან ერთ-ერთი თბილისი იყო. გეგმის შესახებ სტალინს აცნობეს. მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტე-

ტის მდივანი კანდიდ ჩარკვიანი დაიბარა და უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანეთ ქალაქში მეტროპოლიტენიო. „მეტრო არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა“, - ბრძანა სტალინმა. 1951 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო.

ყველას შეუძლია წაიკითხოს აკაკი მეგლაძის მემუარები, როგორ არ დააცადა სტალინმა ჰიტლერს ოპერაცია „ედელვაისის“ განხორციელება, რომელიც კავკასიონის დაპყრობას გულისხმობდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერის უშუალო ბრძანებით, იალბუზის დაპყრობა და კავკასიონის გადალახვა 49-ე მსოფლიო კორპუსს დაევალა, გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით.

პირველი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე, მეორე - ქუთაისზე, ხოლო მესამე დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთ უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას. კრემლში მაგადასათან სულ ხუთი კაცი იჯდა. ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი - სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მაღენკოვი.

- მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდეოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, მათ სურთ ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახებს.



კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის ალების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბერის გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა.“ - წარმოთქვა სტალინმა.

- მზად ვარ, მოვეკდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა! - უპასუხა ბერია.

კავკასიონისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო.

ძალიან მძიმე დღეების შემდეგ, ქართულმა დახაყოფებმა შეძლეს ამ ბრძოლაში გამარჯვება, ეს სტალინური გენიის ნაყოფია, რომელიც მსოფლიო ომების ისტორიაშია შესული, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

რაც შეეხება ტაო-კლარჯეთის საკითხს, მოკლედ გეტყვით, რომ ტაო-კლარჯეთის დაკარგვა ლენინ-

ის მეთაურობით ბოლშევიკური რუსეთის მთავრობასა და თურქეთის მთავრობას შორის ქართული ტერიტორიების გადაწაწილების შედეგია, რომელიც გაფორმდა 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსის ხელშეკრულებით.

ვინმე იმის მტკიცებას თუ დაიწყებს, რომ სტალინს შეეძლო წინ აღდგომოდა ლენინის ხელისუფლებას აღნიშნული ტერიტორიების შესანარჩუნებლად, ეს დიდი უმეცრება იქნება. თვითონ ლენინი ერიდებოდა თურქეთთან მდგომარეობის დაძაბვას, რადგან თურქეთის უკან ინგლისი იდგა.

სტალინმა დიდ სამამულო ომში ჩაიფიქრა საქართველოსა და სომხეთისთვის თურქეთის მიერ მიტაცებული მიწების დაბრუნება. ამის გამო თურქეთთან სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში სტალინმა და ფრონტის ზურგში თურქი მოსახლეობის არსებობა მიზანშეუწონლად ჩათვალა და ასპინძისა და ახალციხის რაიონების სოფლებიდან შუა აზიაში გადაასახლა. მაგრამ ყველაფერი სხვაგვარად წარიმართა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტები დოკუმენტურად დადასტურებულია, შეგიძლიათ, არქივსა და მუზეუმში შეამოწმოთ. სტალინის დონის პოლიტიკოსი ქართველებს არ გვყოლია.

ეს იყო ადამიანი, რომელმაც 30 წლის განმავლობაში ნახევარი მსოფლიო თავის ნება-სურვილზე ატარა. მას თვალბეჭდოვანი მესტიციზმდნენ ისეთი ლიდერები, როგორებიც იყვნენ ჩერიჩილი, რუხველტი და მაო-ძე-დუნი.

(მომიებული)

## აქაზიის კუთხე ააშენე ერთი ტაძარი

არწივს რა უნდა გალიაში, და ანდაც ლომსა,  
ან ხმაღს რა უნდა ქარქაშში, მიჩვეულს ომსა,  
ვაჟკაცს რად უნდა წელზე ერტყას ხმალი ფრანგული,  
თუ ვერ დაიცვა თავის სამშობლო, მინა-მამული.

რა მოხელეა, მკლავი გებას, გრდემლივით მტკიცე,  
როცა სვავები გაუმაძღარნი, გლეჯენ მენს მინებს,  
რა მოხელეა, ცხენი გაყვდეს, მორახტული, ანდაც უბელო,  
თუკი ვერ შეძლებ მენს ნანამებ მამულს უშველო.

ან შენ ვინა ხარ, რისთვის გაჩნდი ამქვეყანაზე,  
არ გაქვს უფლება, რომ იცხოვრო, ვილაცის ვალზე.  
სანამ იცოცხლებ, არ იარო ეშმაკის გზაზე,  
შენც ააშენე ერთი ტაძარი, ქვა დადე ქვაზე.

და რომ მოკვდები, ვალმობილი წადი იმქვეყნად,  
რომ შენს ნაშვილს არ შეაგინონ გამჩენის დედა.  
და თუ დაგადეს საფლავის ქვა და იესოს ჯვარი,  
არ დაანერონ - დაიბადო, თურმეო მკვდარი.

ჯეჰალ ბიგილუჩი.

## ტკბილი სიტყვა

ტკბილი სიტყვა, უფასო,  
ისიც არ გვემეტება,  
ველარ ვუგებთ ერთმანეთს,  
-არის გაუცხოება.  
კაცის გულს ვერ გავუგე,  
არც ქალები მწყალობენ,  
ჩიტებს ვუსმენ, ისინიც  
მგონი სხვისთვის გალობენ.  
შენიშვნა, საყვედური,  
მესმის თითქმის ყოველდღე,  
გულმა დღემდე გაუძლო,  
უძლებს, მაგრამ როდემდე?  
როგორც თავმოკვეთილ ხარს  
ზოგჯერ თივას მიყრიან,  
ხმალი გვერდზე გადადეს,  
გულში სიტყვას მიყრიან.  
სამწუხაროდ ასეა,  
თითქმის ყველა მხარეში,  
გაბატონდა ამქვეყნად  
უზნეობის თარეში.

## მიმართვა-თხოვნა

ალბათ დრო მოვიდა,  
აქ ყოფნა მანუხებს,  
დაგროვილ კითხვებზე  
ვერ ვაძლევ პასუხებს.  
ჩემი გზა განვლილი  
სამწინადად მანამებს,  
დავხუჭავ თვალებს და  
ძლივს ვახელ წამნამებს.  
ცხადში თუ სიზმარში  
ცოდვა ვერ დავძლიე,  
არა ჭრის მუქარა,  
ვერც ქრთამი ვაძლიე.  
უზილავ მტერს ვებრძვი,  
უხმლოდ და უფაროდ,  
რა ვქნა, ვის მივმართო, -  
ისევ შენ, უფალო!

მალხაზ ბარბაქაძე  
დაბა ახალდაბა

## გადაღობ უფალო! (ჩანახატი)

აღდგომის დღეებია და ადამიანებს უფრო მეტად გვეფიქრება სუ-  
ლიერების სრულყოფაზე, თითქოს უფრო მეტად ბევრია ამ დღეებ-  
ში უფალი ჩვენში. ჩემთვისაც ასეა. თუმცა არა, უფალი ხომ სულ  
იყო და არის ჩემთვის. ჩემი სახლის ფანჯრებიდან ღვთისმშობლის  
სახელობის დედადა მონასტერი მოჩანს. მთელი ჩემი შეგნებული  
აზროვნების მანძილზე, ტაძრიდან მწუხრისა და დილის ლოცვების  
ჟამს, მუდამ ზარების ხმა ისმოდა. აივნიდან რომ გავიხედავ, ის კლდე  
მოჩანს, სადაც ბორჯომის სიმბოლო, სამი ჯვარი ერთმანეთის მიყო-  
ლებით დგას. შესაძლოა, ვილაცას გაეცინოს კიდევ, თუმცა ამ კლდეს  
რომ ვუტყვერ, რიო-დეფანეიროს სიმბოლო, მაცხოვრის უზარმაზარი  
გამოსახულება მიდგება თვალწინ.

რამდენიმე დღის წინ, ტრადიციულად, ადრინადად გამელვიძა, გა-  
რედან ჩიტების ჭიჭიკის ხმა შემომესმა, ტელეფონი მოვიმარჯვე,  
ფანჯარა გავაღე, სუფთა ჰაერი ჩავისუნთქე და ტელეფონი ზუს-  
ტად კლდის იმ ნაწილისაკენ მიემართე, სადაც სამი ჯვარი დგას.  
მათი სინათლე სანთლის ციალს მოგაგონებდათ, გამთენიისას კიდევ  
უფრო ლამაზად რომ ერწყმოდნენ ბუნების პეიზაჟს. კმაყოფილებით  
ლრმად ამოვისუნთქე, - უფალო, როგორი ბედნიერი ვარ ამ ყველა-  
ფრის ხილვით, გმადლობ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გამზადე ამ  
სილამაზის ხილვის ღირსი. მადლობა შენ, რომ ამ საოცარი კუთხის  
შვილად გამაჩინე.

დაე, უფლის სიყვარულითა და მადლიერების გრძნობით აღსავსე  
ყოფილიყოს ყოველი ჩვენთაგანისათვის ცხოვრების კიდევ ერთი  
დღეა, კიდევ ერთხელ ნაბოძები წუთი და წამი ამა სოფლისა.

ნაჭო მელიქიძე

## სხოპრების ანალიზი:

- ღარიბი შრომობს;
- მდიდარი ცხოვრობს ღარიბის ხარჯზე;
- ჯარისკაცი იცავს ორივეს;
- გადასახადს გადამხდელი იხდის სამივეს მაგიერ;
- უსაქმური ისვენებს ოთხივეს ხარჯზე;
- ლოთი ხუთივეს მაგიერ სვამს;
- ბანკირი ექვსივეს ატყუებს;
- ადვოკატი „აბოლებს“ შვიდივეს;
- ექიმი ძარცვავს რვავეს;
- მესაფლავე მარხავს ცხრავეს.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997  
წელს, რეგისტრაციის №24.04.59  
რედაქციაშია შეიქმნა გამომცემის ისეთი ნაწილია.  
რედაქციაშია  
აპოკრიფის თვალსაზრისის თვითონ არ იზიარებდას.  
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2, ტელ: 22-29-65.  
იბეჭდება: თბილისი, თვედორე მღვდლის 57.  
saari.ltd@gmail.com  
borjomipress9@gmail.com  
კორექტორი: ნანა კაპლიშვილი  
რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

## 7 აპრილი ხარების ბრწყინვალე დღესასწაულია!

ხარება - ერთ-ერთი საუფლო დღესასწაული (ჟდრაფი) ქრისტიანულ ეკლესია-  
ში. აღინიშნება 7 აპრილს (25 მარტს ძველი სტილით). ლუკას სახარების (1,28-35)  
მიხედვით, გაბრიელ მთავარანგელოზმა მარიამ ღვთისმშობელს ახარა, რომ იგი  
შობდა იესო ქრისტეს, ძეს ღვთისას.

ქრისტოლოგიაში ხარების დღესასწაული ითვლება კაცობრიობის ხსნის დასაწყი-  
სად, საუკუნეების განმავლობაში დაფარული ღვთის საიდუმლოს გამოცხადებად.  
ხარება იესოს შობის შესახებ:

პატარა ქალაქ ნაზარეთში ცხოვრობდა მოკრძალებული ქალწული, მარიამი,  
რომელსაც უფალი წმინდა გულით უყვარდა. ერთხელ მას გამოეცხადა უფლისაგან  
გამოგზავნილი მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს! მომადლე-  
ბული, შენთანაა უფალი. კურთხეული ხარ დედათა შორის“. მარიამი შეკრთა,  
მაგრამ ანგელოზმა დაამშვიდა: „ნუ გეშინია, მარიამ, რადგან ღვთის მაღლი იპოვე-  
დაორსულდები, გაგიჩნდება ვაჟი და სახელად იესოს დაარქმევ. ის იქნება დიდი პი-  
როვნება და ღმერთის ძე ეწოდება. მისცემს მას უფალი მამამისის, დავითის ტახტს  
და ქვეყნის აღსასრულამდე იმეფებს იგი იაკობის სახლზე, არ ექნება დასასრული  
მის მეფობას“.

იმ დროს მარიამი მხოლოდ დანიშნული იყო იოსებზე და ამიტომ გაუკვირდა: „ეს როგორ მოხდება, როცა  
მე მამაკაცი არ ვიცი?“ ანგელოზმა მიუგო: „სულიწმინდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგჩრდილავს.  
ამიტომ წმინდა შობილიც იწოდება ღვთის ძედ“. მამინ მარიამმა თქვა: „აჰა, მხევალი ვარ უფლისა. მეყოს შენი  
სიტყვისამებრ“ და განეშორა მას ანგელოზი.

როცა იოსებმა გაიგო, რომ მარიამი ბავშვს ელოდებოდა, მასთან ფარულად დაშორება გადაწყვიტა, მაგრამ  
ძილში უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გეშინია შენი ცოლის, მარიამის  
მიღება, რადგან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმინდისაგან არის. ძეს შობს და დაარქმევ სახელად იესოს,  
ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“ (ლუკას სახარება 1,26-35; მათეს სახარება 1,20-21).



## პატარები სჭურვოვნე ბიბლიოთეკაში

ბორჯომის საბავშვო ბიბლიოთეკამ გაზაფხულის  
დღესასწაულზე მიგვიწვია, რომელიც ქალს, დედას  
ედევნობდა, მონეველი იყვნენ ქალაქის №1 საჯარო  
სკოლის მეორე კლასელები, ბიბლიოთეკის ნორჩი მე-  
გობრები, პედაგოგი მაქსიმ ხარატიშვილი.  
მოზარდებს მიესალმა ბიბლიოთეკის დირექტორი მა-  
რიკა თიბილაშვილი.

წარმოგვიდგინეს მონეტაჟი დედაზე, ნაიკითხეს ქარ-  
თველი პოეტების ლექსები, გვიმღერეს და ინსცენირება  
მიუძღვნეს დედას.

დასასრულს ღონისძიებების კოორდინატორმა ნანუ-

ლი სალაშიამ მადლობა გადაუხადა პედაგოგს, მოსწა-  
ვლებს და დამსწრე საზოგადოებას.

დედასა და ქალთა საერთაშორისო დღეს სასიამოვნო  
ღონისძიება მიუძღვნა ახალი უზნის ბიბლიოთეკამ, რო-  
მელშიც მონაწილეობდნენ №4 საჯარო სკოლის მოსწა-  
ვლები, კლასის ხელმძღვანელი მაქსიმ ზარაძე. მოსწა-  
ვლებმა იმღერეს, იცაკვეს, საჩუქრად მოგვიძღვნეს  
ლექსები და ყვავილები. მადლობა ყველა ბავშვს, პედა-  
გოგს, ბიბლიოთეკის გვერდში დგომისთვის.

ნანული ჩაჩანიძე

## ნიგნის საერთაშორისო დღე აღინიშნა



2 აპრილი საბავშვო ნიგნის საერ-  
თაშორისო დღეა, რომელიც 1967  
წლიდან აღინიშნება და ემთხვევა  
ცნობილი პოეტისა და მწერლის,  
ჰანს კრისტიან ანდერსენის დაბა-

დების დღეს.

ამ დღის დაარსებიდან, მისი  
მუდმივი სპონსორი საერთაშორი-  
სო საბჭოა, რომელიც აქტიურად  
ენევა ნიგნების პოპულარიზაციას

მოზარდებში.

ყველასთვის ცნობილია თუ რაო-  
დენ მნიშვნელოვანია ბავშვისთვის  
თვალსაწიერის გაფართოება და  
მათთვის ნიგნების შეყვარება. სწო-  
რედ ამ მიზანს ემსახურება საბა-  
ვშვო ნიგნის საერთაშორისო დღე.  
ამ დღეს ცნობილი პოეტები,  
მეზღაპრები და ილუსტრატორები  
სხვადასხვა ქვეყანას სტუმრობენ,  
მართავენ ბავშვებთან შეხვედრებს  
და უწევენ ნიგნებს პოპულარიზა-  
ციას.

ამ დღეს საბავშვო ბიბლიოთეკას  
№1 საჯარო სკოლის მესამე კლასე-  
ლები სტუმრობდნენ (კლასის ხელ-  
მძღვანელი ინგა კახაძე).  
ბიბლიოთეკის თანამშრომლებ-  
მა მათ ჰანს კრისტიან ანდერსე-  
ნის ბიოგრაფია და ნაწარმოებები  
გააცნეს.

## საქართველოს სოცხალი ყვავილების იმპორტი 100%-ით გაუკვირდა

საქართველოში ცოცხალი  
ყვავილების იმპორტი 100%-  
ით გაიზარდა, ფასი კი თითქმის  
გაორმაგდა. უფრო კონკრე-  
ტულად, თუ 2023 წლის იან-  
ვარ-ნოემბერში ქვეყანამ 4.634  
მლნ დოლარის ღირებულების  
1 550 ტონა ცოცხალი ყვავილი  
იყიდა, 2024 წლის ანალოგიურ  
პერიოდში იმპორტის მოცულო-  
ბამ 10.258 მლნ დოლარი (1 732  
ტონა) შეადგინა.

შესაბამისად, გამოდის, რომ

თუ 2023 წელს ერთ კილოგრამ  
ცოცხალ ყვავილს და კოკორს  
ქვეყანა სამუალოდ 3 დოლარად  
ყიდულობდა, 2024 წელს ფასი 6  
დოლარამდე გაიზარდა.

რაც შეეხება იმპორტიორ ქვეყ-  
ნებს, საქსტატის მონაცემებით,  
საქართველოში ყვავილების თი-  
თქმის მესამედი სომხეთიდან,  
ცოტა მეტი კი ეკვადორიდან  
შემოდის.

მე-5 ყველაზე მაღალ სა-  
ქართველო სოცხალ ყვავი-

ლებს ყიდულობს (2024 წლის  
იანვარ-ნოემბრის სტატის-  
ტიკა):

ეკვადორი - 3.564 მლნ დოლარი  
(446 ტონა)  
სომხეთი - 3.048 მლნ დოლარი  
(627.7 ტონა)  
ნიდერლანდები - 1.444 მლნ დო-  
ლარი (103.7 ტონა)  
კენია - 931.4 ათასი დოლარი  
(112.5 ტონა)  
თურქეთი - 822 ათასი დოლარი  
(392 ტონა)

## რა ღირს ფინჯანი „კაპუჩინო“

ყავის ფასი 2024 წელს 70%-ით გაი-  
ზარდა და რიგ შემთხვევებში მისმა  
საფასურმა რეკორდულ მაჩვენე-  
ბელს მიაღწია.

დღესდღეობით, მსოფლიოში ყვე-  
ლაზე პოპულარული ყავის ჯიშის  
- არაბიკას ფასი ბოლო 50 წლის  
განმავლობაში დაფიქსირებული მა-  
ჩვენებელთან შედარებით ყველაზე  
მაღალია. ექსპერტები ამბობენ, რომ  
ფასის შემცირებას, შეიძლება წლე-  
ბი დაჭირდეს.  
ფინჯანი ყავის ფასები მნიშვნე-  
ლოვნად განსხვავდება სხვადასხვა  
ქვეყნებში. Numbeo-მ სხვადასხვა  
ქვეყანაში ფინჯანი კაპუჩინოს ფასი  
დაითვალა.

ფასები დათვლილია 2024 წლის დე-  
კემბრის მონაცემებით, თუმცა მას  
შემდეგ ცვლილება არ მომხდარა.  
რატომ იზრდება ყავის ფასი მთელ  
მსოფლიოში?


ბრაზილიასა და ვიეტნამში - მსო-  
ფლიოს ორ უმსხვილეს ყავის  
მწარმოებელ ქვეყანაში, ექსტრე-  
მალურად ამინდებმა მოსავლიანო-  
ბა შეამცირა.

სიდიდით მესამე მწარმოებელი ქვე-  
ყანა - კოლუმბია, მოსავლის ასაღე-  
ბად იბრძვის. მზარდმა ხარჯებმა  
ფერმერები აიძულა შეემცირებინ-

ნათ სასუქი.

ფასების ზრდის სხვა ფაქტორები  
მოიცავს ევროკავშირის მიერ შე-  
მოღებულ, ტყის გაჩეხის ახალ წე-  
სებს, შრომისა და ენერგიის გაზრ-  
დილ ხარჯებს, მიწოდების ჯაჭვის  
შეფერხებას და ვიეტნამელი მწარ-  
მოებლების მიერ უაღრესად მომგე-  
ბიანი დურღინის ხილზე გადასვლას.  
ყავასთან ერთად მსოფლიოში ძირ-  
დება რძეც, შესაბამისად, მატულო-  
ბის ფასი ყავის ისეთ სახეობაზე  
როგორიცაა კაპუჩინო, ლატე და ა.შ.  
იმის გამო, რომ მსოფლიოში ყა-  
ვაზე, როგორც სასმელზე მოთხოვნა  
მზარდია, Numbeo-მ შეადარა ფა-  
სები ყავის ისეთ სახეობაზე, როგო-  
რიცაა კაპუჩინო. Numbeo-ს მიერ  
შეფასებული 96 ქვეყნიდან, ყველაზე  
იაფი კაპუჩინო ლიბიაშია, ყველაზე  
ძვირი კი არაბთა გაერთიანებულ  
სამამროებში.

5 ქვეყანა, სადაც ფინჯანი კაპუჩინო  
ყველაზე იაფი ღირს:  
ლიბია - 0.60 დოლარი;  
ალჟირი - 0.71 დოლარი;  
ტუნისი - 0.85 დოლარი;  
ირანი - 1.20 დოლარი;  
უკრაინა - 1.24 დოლარი.  
5 ქვეყანა, სადაც ფინჯანი „კაპუჩი-  
ნო“ ყველაზე ძვირია:



არაბთა გაერთიანებულ სამამროე-  
ბი - 5.69 აშშ დოლარი  
დანია - 5.63 აშშ დოლარი  
შვეიცარია - 5.42 აშშ დოლარი  
ქუვეითი - 5.32 დოლარი  
აშშ - 5.19 დოლარი  
რაც შეეხება საქართველოს, ის  
Numbeo-ს რეიტინგში 44-ე ადგი-  
ლზეა, სადაც ფინჯანი კაპუჩინო  
სამუალოდ 2.78 დოლარია. მეზო-  
ბელი ქვეყნების მაჩვენებელი კი  
ასეთია: თურქეთი - 2.94 დოლარი;  
სომხეთი - 3.38 დოლარი; აზერბაი-  
ჯანი - 3.37 დოლარი და რუსეთი -  
1.78 დოლარი.

თაინა ჩაპაზაშვილი